ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N74

ქ.თბილისი

9 თებერვალი, 2021 წელი
16^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თევდორე ისაკაძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი	ლევან არველაძე
გიორგი ბირბიჩაძე	გულია გოცირიძე
ოთარ გრიგოლია	ლევან დავითაშვილი
ლევან დარახველიძე	გიორგი დოხტურიშვილი
ერეკლე კუხიანიძე	ანა ლაშხი
ზაზა მამალაძე	ქეთევან მამულაშვილი
მიხეილ მესხი	თინათინ ნიბლოშვილი
შალვა ოგბაიძე	ვაჟა ოთარაშვილი
ლევან ჟორჟოლიანი	დათო რურუა
ნინო რუხაძე	რევაზ სოხაძე
დავით უთმელიძე	ბორია ფირცხელიანი
ვახტანგ შაქარიშვილი	გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე	ვლადიმერ ძნელაძე
დავით ჭელიძე	ალექსანდრე ხუჯაძე
ლევან ჯაფარიძე (სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)	ლევან ჯაფარიძე
ილია ჯიშკარიანი	

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ვლადიმერ ჭიღლაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი ირაკლი გვილავა;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი კახაბერ გულედანი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ვახტანგ შაქარიშვილმა ისაუბრა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგებლის მოადგილის დაკავებაზე, განაცხადა, რომ მას საკრებულოს წევრები იცნობდნენ, როგორც „კეთილსინდისიერ ადამიანს და კარგ მოხელეს". ხოლო კომპანიას, რომლის საჩივრის და ჩვენების საფუძველზეც იქნა დაკავებული ზემოთ ხსენებული პიროვნება, „თაღლითური დაჯგუფება" უწოდა, რადგან, მისი თქმით, ამ კომპანიას ხელმძღვანელობს ადამიანი, რომელიც ხელმძღვანელობდა კომპანიას, რომელსაც ბრალად ედებოდა არაერთი გადაცდომა, მათ შორის: რამდენიმე წლის წინ, ავჭალაში მიმდინარე ხიდის მშენებლობისას მილიონნახევარი ლარის მითვისება; 20020 წელს, კასპში აქვს ვადაგადაცილება, თეთრი წყაროს რაიონში შეწყვეტილი ხელშეკრულება; დიდუბეში ჯარიმის და შავი სიაში გადაცემის მოთხოვნა; თამარ მეფის გამზირზე გაუქმებული ხელშეკრულება და შავ სიაში გადაცემის მოთხოვნა; კრწანისში, სამ ტენდერში შავ სიაში გადაცემა; ჩუღურეთში ვადაგადაცილება; ვაკეში, წყნეთში ხელშეკრულების გაუქმება შეუსრულებლობის გამო; მთაწმინდაზე მიენიჭა დისკვალიფიკაცია და ა.შ. ადამიანი, რომელიც ფიგურირებს გავრცელებულ ვიდეო კადრებში, 2018 წელს, თიანეთის მუნიციპალიტეტში, ოთხ საჯარო მოხელესთან ერთად, დაკავებული იყო თაღლითობის და დიდი ოდენობით თანხის მითვისების ბრალდებით. მისი თქმით, გამოდის, რომ „შესაბამისი სამსახურები ხელმძღვანელობენ დისკრედიტირებული კომპანიის, თაღლითის, ნასამართლევის და არაკეთილსინდისიერი ადამიანის ჩვენებით" და მოუწოდა საკრებულოს წევრებს, სიღრმისეულად დაინტერესდნენ ამ ფაქტით, რადგან შესაძლოა ადგილი ჰქონდეს უდანაშაულო ადამიანის გაწირვას. ვახტანგ შაქარიშვილმა, ასევე, ისაუბრა იპოდრომის ტერიტორიაზე ცენტრალური პარკის მშენებლობაზე და განაცხადა, რომ „ქალაქში ხორციელდება უმნიშვნელოვანესი პროექტი", თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული ტერიტორიიდან რამდენიმე მეტრში, გიორგი რურუა და მასთან დაკავშირებული ბიზნეს-ჯგუფები, რომლებსაც „ურბანული ზონდერები" უწოდა, განაგმობენ ადამიანებზე და ჩვენს ქალაქზე ძალადობას და ცდილობენ განახორციელონ, როგორც მოსახლეობისთვის, ასევე, ქალაქისთვის მიუღებელი პროექტი და მოუწოდა საკრებულოს წევრებს, მოსახლეობას დაუდგნენ გვერდით და ბიზნეს-ჯგუფს არ მისცენ საშუალება „კიდევ ერთხელ იძალადონ ჩვენს ქალაქზე და მოქალაქეებზე". საუბრის ბოლოს, ვახტანგ შაქარიშვილი შეეხო „ქართული ოცნების" ხელისუფლების მხრიდან დაანონსებულ საარჩევნო რეფორმას და განაცხადა, რომ წარმოდგენილი ვერსიით, თვითმმართველობის არჩევნების დროს, უნდა მოხდეს სამაჟორიტარო ოლქების გამსხვილება, რაც, მისი აზრით, არ წაადგება თვითმმართველობის ეფექტურად განხორციელების მიზანს, რადგან თვითმმართველობაში მაჟორიტარს აქვს განსაკუთრებული ფუნქცია და აქედან გამომდინარე, მოუწოდა საკრებულოს წევრებს, იაქტიურონ, რათა „გარკვეულ ძალებს არ მისცენ საშუალება ისარგებლონ შექმნილი ვითომ პოლიტიკური კრიზისით და დაარღვიონ თვითმმართველობის ძირითადი პრინციპები" და იქნებ იქონიონ გარკვეული ზეგავლენა ამ პროცესზე, სანამ საქართველოს პარლამენტში შედგება კენჭისყრა და მიიღებენ ბევრისთვის მიუღებელ გადაწყვეტილებას.

ოთარ გრიგოლიამ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგებლის მოადგილის დაკავების ფაქტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მიმდინარეობს გამოძიება და იმ ინტერესიდან გამომდინარე, რომ დარღვეული არ იქნას არავის კონსტიტუციური უფლება, შესაბამისი სამსახურები იმოქმედებენ კანონის შესაბამისად და სამართლიანი გამოძიების შედეგად დადგინდება, იკვეთება ვინმეს ბრალეულობა თუ აღნიშნული არის სპეკულაციური პროცესი. მან ასევე, ისაუბრა დაანონსებულ საარჩევნო ცვლილებებზე და განაცხადა, რომ საკრებულო ყურადღებით აკვირდება მიმდინარე პროცესებს და იმედი გამოთქვა, რომ, თანაგუნდელებთან კომუნიკაციის შედეგად, აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილების

მიღებისას, გათვალისწინებული იქნება საკრებულოს ინტერესები და პოზიცია. მისი თქმით, საკითხი გადაწყდება ისე, რომ ერთის მხრივ, შესრულდეს „ქართული ოცნების“ მიერ აღებული პოლიტიკური პასუხისმგებლობა და მეორეს მხრივ, არ იქნას დარღვეული წარმომადგენლობითობის ელემენტი, რაც საკრებულოში წარმოდგენილია მაჟორიტარობის სახით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე კახაბერ გულედანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: ვლადიმერ ჭიღლაძე
თანამომხსენებელი: გიორგი ტყემელაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი გვილავა

3. „ქ.თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირის N117ª, N117, N117ᵇ, N177ᵃ-ში მდებარე მიწის ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ᵃ-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957) და შპს „ალმას“ (ს/ნ.: 204873388) მიმართ მისამართებზე - ქ.თბილისი, წერეთლის გამზ. N45 (ს/კ.: N01.13.06.010.019) და ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ.N69 (ს/კ.: N01.17.13.038.024) ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

5. „ქალაქ თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი N117ª, N117, N117ᵇ, N177ᵃ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.06.001.036; N01.13.06.001.011; N01.13.06.001.015; N01.13.06.001.027; N01.13.06.001.016) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

6. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.95.412; N81.02.01.770) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

7. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N12, N8ᵃ, N8ᵇ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.19.005.012; N01.19.19.005.017; N01.19.19.005.055) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“.

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე კახაბერ გულედანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. აღნიშნა, რომ კახაბერ გულედანის განვლილი წლები უკავშირდება თვითმმართველობას და საკრებულოს წევრები მას იცნობენ, როგორც თბილისზე შეყვარებულ, პროფესიონალ, საქმის მცოდნე, ერთ-ერთ გამორჩეულ და წარმატებულ სახელმწიფო მოხელეს. გიორგი ტყემალაძემ იმედი გამოთქვა, რომ კახაბერ გულედანის მომავალი საქმიანობა ახალ პოზიციაზე წარმატებული იქნება და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა ირაკლი გვილავამ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით, დღემდე მოქმედ წესთან შედარებით, მარტივდება გარკვეული ბარიერები, კერძოდ: სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის ქულების ზედა ზღვარი 70000-ის ნაცვლად, იქნება 150000-მდე; მაგისტრი სტიპენდიანტების შემთხვევაში, მარტივდება ჩარიცხვის წესი და შესაძლებელი ხდება, სტიპენდიანტის სურვილის შემთხვევაში, თანხა ჩაერიცხოს პირდაპირ უნივერსიტეტს, რაც სტუდენტს მისცემს გარკვეულ შეღავათს საშემოსავლო ნაწილში. ირაკლი გვილავას თმით, ხსენებული ცვლილებებით, თითქმის გაორმაგდება პროგრამაში ჩართული სტუდენტების რიცხვი და მიაღწევს დაახლოებით 2500-მდე სტუდენტს. წარმოდგენილ წესში, ასევე, გათვალისწინებულია წახალისების რაოდენობა აკადემიური მოსწრების მიხედვით, რაც გულისხმობს იმას, რომ მაღალი აკადემიური

მოსწრების შემთხვევაში, სოციალურად დაუცველ სტუდენტებს, დაფინანსების ნაწილში, ექნებათ გარკვეული წახალისება.

გიორგი ტყემალაძე დაინტერესდა, ცნობილია თუ არა, სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის ქულების ზედა ზღვარის გაზრდის შედეგად, დაახლოებით რამდენი ბენეფიციარი დაემატება პროგრამას.

ირაკლი გვილავამ განმარტა, რომ დღეს არსებული მდგომარეობით, ფინანსდება 1300-მდე სტუდენტი, ქულების ზედა ზღვარის ცვლილებით, დაფინანსებას მიიღებს დამატებით დაახლობით 1300-ძდე სოციალურად დაუცველი სტუდენტი, ხოლო სტიპენდიაწტების შემთხვევაში, პროგრამას დაემატება დაახლოებით 300 სტუდენტი.

ვახტანგ შაქარიშვილი დაინტერესდა, თუ რა პროცენტით უფარავს მუნიციპალიტეტი სწავლის საფასურს სოციალურად დაუცველ სტუდენტებს, დაფინანსების რაოდენობა დამოკიდებულია თუ არა აკადემიურ მოსწრებაზე და ითვალისწინებს თუ არა აღნიშნული პროგრამა იმ სტუდენტების დახმარებას, რომლებსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი და თუ არ ითვალისწინებს, შესაძლებელია თუ არა ამ პროგრამის ბენეფიციარები გახდნენ ისინი, ვისაც შესაბამისი სოციალური ქულა ექნება, რადგან, როგორც ცნობილია, სტატუსი შეჩერებული აქვს 75000 სტუდენტს.

ირაკლი გვილავამ განმარტა, რომ პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების დაფინანსებას. რაც შეეხება სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს, სამსახურს უკვე დამუშავებული აქვს ეს საკითხი, დათვლილია, თუ რა თანხაა საჭირო იმისთვის, რომ განულდეს ამ სტუდენტების რიცხვი, თუმცა ეს იმდენად მასშტაბური საკითხია, რომ პირველი ნაბიჯების გადადგმა უნდა მოხდეს განათლების სამინისტროს ჩართულობით, რადგან აღნიშნული უნდა განხორციელდეს არა მხოლოდ თბილისის, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანხის გადაუხდელობის გამო სტატუსი შეჩერებული აქვს სტუდენტების 40-50%-ს, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში არის სხვადასხვა პირადი მიზეზი. რაც შეეხება ზოგადად, სწავლის საფასურის დაფინანსების პროცენტულ მაჩვენებელს, განმარტა, რომ სახელმწიფოს მიერ დადგენილია სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობა - 2250 ლარი, რომელიც სტუდენტებს უფინანსდებათ შემდეგნაირად: საშუალო აკადემიური მოსწრების შემთხვევაში - 50%, კარგი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში - 70% და მაღალი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში - 100%.

ვაჟა ოთარაშვილმა განაცხადა, რომ სტუდენტის სტატუსი შეჩერებული აქვს 75000 სტუდენტზე მეტს, მუნიციპალიტეტი კი აფინანსებს 2500 სტუდენტს და არ ითვალისწინებს ნიჭიერ, ერუდირებულ და სწავლას მოწყურებულ უამრავ სტუდენტს, რაც მისი თქმით, არასწორი მიდგომაა და შესაბამისად, ძალიან ცოტაა ამ მიმართულებით გამოყოფილი თანხაც - 1300000 ლარი, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც 4000000 ლარია გამოყოფილი მიუსაფარი ძაღლების მიმართულებით.

გიორგი ჩაკვეტაძემ განმარტა, რომ „ახალი კორონა ვირუსის - COVID-19"-დან გამომდინარე, ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში, 2020 წლის შემოდგომის სემესტრში, დახმარება გაეწია 15000-ზე მეტ სტატუსშეჩერებულ სტუდენტს და საუბარია მათთვის დახმარების გაწევაზე 2021 წლის პირველ სემესტრშიც. მისი თქმით, სტატუსშეჩერებული სტუდენტების რიცხვის მატება გამოწვეულია არა მხოლოდ იმით, რომ მათ არ აქვთ სწავლის საფასურის გადახდის საშუალება, არამედ, ბევრ მათგანს, პანდემიის პერიოდში, არ ჰქონდა ტექნიკური საშუალება ჩართულიყო გამოცდაზე, ზოგი არ იმყოფება საქართველოში და ა.შ. მისი თქმით, თუ აქამდე სწავლის საფასურით თბილისში ფინანსდებოდა 1200-1300 სოციალურად დაუცველი სტუდენტი და დღეის შემდეგ მათი რიცხვი გაორმაგდება, ძალიან კარგია. ასევე, დიდი შეღავათია სტუდენტებისთვის სტიპენდიის პროგრამა და იმის თქმა, თითქოს ამ მიმართულებით არაფერი კეთდება არასწორია.

ვლადიმერ ძნელაძემ განაცხადა, რომ სახელმწიფოს განსაზღვრული აქვს რამდენიმე პრიორიტეტული ფაკულტეტი, სადაც სწავლას თავად აფინანსებს და სტუდენტისთვის აბსოლუტურად უფასოა, ხოლო ის ფაკულტეტები, სადაც მოთხოვნა ჭარბია არის ფასიანი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ორივე შემთხვევაში, სტუდენტი იღებს უმაღლეს განათლებას.

თინათინ ნიბლოშვილმა განმარტა, რომ წარმოდენილი პროგრამა ემსახურება თბილისში, მინიმუმ 6 თვის განმავლობაში, რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველი ოჯახების სტუდენტებს, ხოლო ვაჟა ოთარაშვილის მიერ ნახსენებ 75000 სატუსშეჩერებული სტუდენტის დაფინანსებას თბილისის ბიუჯეტი ვერ გაწვდება და არც არის მისი კომპეტენცია. მისი თქმით, გარდა იმისა, რომ გაიზარდა იმ ფაკულტეტების ჩამონათვალი, რომლის დაფინანსებასაც ეს პროგრამა არ ითვალისწინებდა და შეიცვალა სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსებისთვის საჭირო ქულების ზედა ზღვარი, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ გაიზრდება იმ სტუდენტების რაოდენობა, რომლებსაც ამ მიმართულებით ესაჭიროებათ დახმარება, მნიშვნელოვანია ასევე წახალისების პროგრამაც, რომელიც აფინანსებს ყველა ფაკულტეტის სტუდენტს, რომელსაც სემესტრის განმავლობაში მიღებული აქვს 91-დან 100 ქულამდე, რაც იმას ნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტი ახალისებს და სტიპენდიას აძლევს სწორედ ნიჭიერ და მოწადინებულ სტუდენტებს. აღსანიშნავია ასევე, რომ ამ პროგრამისთვის გამოყოფილი 1300000 ლარი სრულად იქნება ათვისებული და აღარ იქნება საჭირო ერთსა და იმავე მდგომარეობაში მყოფ სტუდენტებს შორის არჩევანის გაკეთება. საუბრის ბოლოს, თინათინ ნიბლოშვილი გამოეხმაურა ვაჟა ოთარაშვილის კომენტარს და განაცხადა, რომ სტუდენტების დაფინანსების საკითხის მიუსაფარი ბაღლების მიმართულებით არსებულ პრობლემასთან შედარება არასერიზულად მიაჩნია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

3. „ქ.თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირის N117ª, N117, N117ᵇ, N177ᵃ-ში მდებარე მიწის ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ᵃ-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957) და შპს „ალმას“ (ს/ნ.: 204873388) მიმართ მისამართებზე - ქ.თბილისი, წერეთლის გამზ. N45 (ს/კ.: N01.13.06.010.019) და ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ.N69 (ს/კ.: N01.17.13.038.024) ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით იზრდება „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობის შედეგად მოსაპირკეთებელი 6 ობიექტის დაფინანსება, რომელსაც ჯამში ჰყავს 6500 დაზარალებული. მისი თქმით, ინვესტორი, 6 თვის განმავლობაში, გადაიხდის ექვს მილიონ დოლარს, ხოლო სანაცვლოდ, წერეთლის გამზ.N45-ში და ქეთევან წამებულის გამზ.N69-ში, მას, ხელშემწყობი ღონისძიების სახით, მიენიჭება გარკვეული ურბანული და არქიტექტურული პრეფერენციები, რაც გულისხობს კ2 და კ1 კოეფიციენტების გადამეტებას, შენობის სიმაღლისა და ავტოსადგომების

რაოდენობის განმსაზღვრელი მოქმედი ნორმებისგან გადახვევას და ასევე, არ მოითხოვება საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ზეგავლენის შეფასება.

ვახტანგ შაქარიშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი ეხება საკმაოდ მძიმე პრობლემას და განაცხადა, რომ არავის ეხალისება კონკრეტულ ტერიტორიებზე, სამშენებლო კოეფიციენტის გაცემა 9.0 მაჩვენებლით, მით უმეტეს, იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება პრეფერენციის მინიჭებას იმ კომპანიისთვის, რომელიც შემჩნეულია სხვადასხვა არაკეთილსინდისიერ საქმიანობაში, მათ შორის, საბიუჯეტო სახსრების დამალვაში, მონოპოლიის შექმნაში და ა.შ. მისი თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია ათასობით დაზარალებული ოჯახის პრობლემის მოგვარება, თუმცა, ფიქრობს, რომ უკეთესი იქნებოდა, მუნიციპალიტეტს ამ პრობლემასთან გამკლავება მოეხერხებინა ასეთი მძიმე გადაწყვეტილების მიღების გარეშე და შესაძლებელი ყოფილიყო კოეფიციენტის არა ასეთი გადამეტების, არამედ, მცირე გადამეტების მოთხოვნის დაკაყოფილება. ვახტანგ შაქარიშვილის აზრით, კომპანია „ალმასთვის“ უდიდესი პროექტების განხორციელების მიცემის შესაძლებლობა, ქალაქს დააჩნდება კიდევ ერთ ლაქად და აქედან გამომდინარე, ამ საკითხისთვის თანმდევი კეთილშობილური მიზნის მიუხედავად, წარმოდგენილ პროექტს მხარს არ დაუჭერს.

ვაჟა ოთარაშვილმა განაცხადა, რომ არასწორად მიიჩნევს თბილისში მაღალსართულიანი სახლების მშენებლობას, რადგან ეს საფრთხეს უქმნის სეისმომედეგობას, კომუნიკაციების არსებობას და სხვა სახლებსაც, ასევე, ხელს უწყობს, ქალაქში ისედაც არსებული საცობების პრობლემის გაუარესებას. მისი თქმით, საკრებულო ამ გადაწყვეტილების მიღებით, ხელს შეუწყობს ქალაქის კიდევ უფრო დამახინჯებას და მოსახლეობისთვის დისკომფორტის შექმნას და ამიტომ წარმოდგენილ საკითხს მხარს არ დაუჭერს.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ სამშენებლო კოეფიციენტის მაჩვენებლის გაზრდის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება გამომდინარებს არა იქიდან, რომ საკრებულოს რომელიმე წევრს მოსწონს მსგავსი გადაწყვეტილების მიღება, არამედ ის ნაკარნახევია იმ პასუხისმგებლობით, რომელიც მუნიციპალიტეტმა აიღო 6000-ზე მეტი ოჯახის წინაშე, რომლებიც წლებია ელოდებიან საცხოვრებელ სახლებს და რადგან ამ ადამიანების პრობლემის მოგვარების სხვა გზა არ არსებობდა, მიღებული იქნა ოპტიმალური გადაწყვეტილება.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელმშემწყობი ღონისძიების გამოყენების შესახებ წარმოდგენილი არც ერთი პროექტის დროს არ ყოფილა დათმობა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: გეოლოგია, მედეგობა, კონსტრუქციული დასკვნების სავალდებულობა, სახანძრო უსაფრთხოება და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები, რადგან ნებისმიერი მშენებლობა, უნდა იყოს მედეგი, კონსტრუქციულად გამართული და, თუნდაც სახანძრო ნორმების დარღვევა, საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს ადამიანების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. რაც შეეხება, ზოგადად, ამ მიმართულებით მიღებულ გადაწყვეტილებებს, გამომდინარეობს მუნიციპალიტეტის მიერ აღებული პასუხისმგებლობით, მოაგვაროს წლების განმავლობაში არსებული ათი ათასობით ოჯახის პრობლემა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილით: N12-032103522-03 თარიღი: 04.02.2021 წარმოდგენილი წინადადებები, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, დადებითად შეფასდა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი N117ᵃ, N117, N117ᵇ, N177ᵃ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.06.001.036; N01.13.06.001.011; N01.13.06.001.015; N01.13.06.001.027; N01.13.06.001.016) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2, მისი საერთო ფართია 14700 კვ.მ., ხოლო დაგეგმილი მშენებლობის მოცულობა იქნება 67000 კვ.მ. განხორციელდება სამი კორპუსის მშენებლობა, სადაც 25% დაეთმობა საცხოვრებელ ფართს, ხოლო 75% დაიტვირთება საზოგადოებრივი, სასტუმროს და საოფისე ფუნქციით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.95.412; N81.02.01.770) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო წინადადებით წარმოდგენილია ტერიტორიის განაშენიანება საცხოვრებელი ზონა 1-ის ფარგლებში, სადაც იქნება 14 ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართი, მიწის ნაკვეთების ფართობი მერყეობს 600 კვ.მ.-დან 860 კვ.მ.-მდე, ხოლო შენობების მაქსიმალური სიმაღლე იქნება 15 მეტრი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N12, N8ბ, N8ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.19.005.012; N01.19.19.005.017; N01.19.19.005.055) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 13626 კვ.მ., სადაც საცხოვრებელი ზონა 6-ის ფარგლებში, დაგეგმილია სამი საცხოვრებელი კორპუსის განთავსება, რომელთა ჯამური სამშენებლო მოცულობა არის 34000 კვ.მ., ხოლო შენობების სართულიანობა გათვალისწინებულია მაქსიმუმ 12 სართულით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 2 დადგენილება და 5 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი